ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6490359

ნომერი: AR1968301

თარიღი : 24.05.2023

გაცემის თარიღი : 02.06.2023

გაცნობის თარიღი : 03.06.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 29-31-33 , (ნაკვეთი 04/023);

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე მიმინოშვილი პ/ნ 01024091392
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 29ა, ბინა 37

ორგანიზაცია:

- შპს ნეთვორქ სფეისი კოდი: 405599179

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
არ დგინდება განცხადებაზე წარმოდგენილი მინდობილობით განმცხადებლის უფლებამოსილება, ვინაიდან გაუგებარია რომელი სუბიექტის მიერ არის გაცემული მინდობილობა (საფირმო სახელწოდება და საიდენთიფიკაციო კოდი არ არის შესაბამისობაში საჯარო რეესტრში მითითებულ მესაკუთრის მონაცემებთან), აქედან გამომდინარე წარმოადგინეთ განახლებული მინდობილობა. წარმოადგინეთ განმარტება, სრულად მოიცავს თუ არა სარეკონსტრუქციო ფართს 01.14.14.004.023.01.02.500 ამონაწერი, თუ სხვა კოდით რეგისტრირებულ ფართზეც არის დაგეგმილი საპროექტო სამუშაოები მონიშნეთ რუკაზე ან წარმოადგინეთ სრულად ყველა ფართ(ებ)ის ამონაწერ(ებ)ი და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ მესაკუთრის თანხმობაც.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.